

საქართველოს სოც.



საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

## პანონია და განკარგულებათა პრეზული

სახალხო კომისართა საბჭოს და მკრთხულების საბჭოს

საჯარო მთავრობის გამოცემა

1930 წ. ღებების 24.

№ 22

ნაწილი პირველი

ვ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს  
დაბუღნილება.

318. საქართველოს სსრ-ის ცენტრალური სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების  
მოწყობისა და ამ სასამართლოების დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების შესახებ.

## ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დაბუღნილება

318. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ-ის ცენტრალური სასოფლო საზოგადოებრივი სახალხო-  
ლოების მოწყობისა და ამ სასამართლოების დებულების დამტკიცების  
შესახებ.

სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1930 წ. თე-  
ბერვალის 3-ს დამტკიცებულ „სსრ-ში სასოფლო საბჭოების მოწყობის ძირი-  
თად დებულებათა“ მე-9 მუხლის თანაბმის (სსრკ. კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი,  
შეს. 171) და „სასოფლო სასამართლოების მოწყობის შესახებ“ გამოცემული  
სსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა  
საბჭოს 1930 წ. სექტემბრის 29-ის დადგენილების შესაბამისად (სსრკ „იზვეს-  
ტიი“-ს 271 №-ი 1930 წ. ოქტომბრის 1-სა) – სრულიად საქართველოს ცენტ-  
რალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისარ-  
თა საბჭო ადგენენ:

## I.

1. მცირებიშვნელოვან ქონებრივ, საადგილმამულო და შრომის დავათა და სისხლის სამართლის მცირე დანაშაულთა გადასაწყვეტილ იმ საერთო წესის გამონაკლისად, რაც სისხლის სამართლისა, სამოქალაქო სამართლისა, შრომის და საადგილმამულო საქმების განხილვისათვის არსებობს, მოწყობილ იქნეს საქართველოს სსრ ის ტერიტორიაზე, მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებითა და ოლქითურთ, სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოები, რომელებიც იმოქმედებენ ამ სასამართლოების თაობაზე გამოცემული სპეციალური დებულების საფუძველზე და წესით:

2. დამტერიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების შესახებ.

3. წინადადება მიეცეს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს მოწყონ სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოები უკელვან არა უგვიანეს 1930 წ. დეკემბრის 15-სა.

4. სახალხო სასამართლოებში, საადგილმამულო სასამართლო ორგანიზაცია და სასოფლო საბჭოებში წარმოებული საქმები (სისხლის სამართლის კოდექსის 195 მუხლით გათვალისწინებულ საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა და წანახედით მიყენებულ ზარალზე აღძრულ დავათა შესახებ), რაც გადაუწყვეტელი იქნება 1930 წ. დეკემბრის 1-თვეის და რაც, სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების თანახმად, ამ სასამართლოებს უქვემდებარება, გადაწყვეტილ უნდა იქნეს სასოფლო სასამართლოების მოწყობამდე მოქმედ წესისამებრ.

5. იმ ადგილებში, სადაც სასოფლო (ყოფილი სათემო) სასამართლოები მოწყობილ იქნა საცდელად, გაუქმებულ იქნეს ეს სასამართლოები და ყველა მათი დაუმთავრებელი საქმე გადაეცეს სათანადო საზოგადოებრივ სასოფლო სასამართლოს.

6. წინადადება მიეცეს საქართველოს უზენაეს სასამართლოს და რესპუბლიკის პროკურორს, 20 დღის გადაზე ამა დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, გამოსცენ სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების დებულების მე-18 მუხლით გათვალისწინებული ინსტრუქციები.

7. მინდონის აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს განახორციელონ ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე 1930 წ. დეკემბრის 15-დე ამა დადგენილებაში აღნიშნული ლონისძიებანი.

## II.

1. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 9-ის დადგენილებაში „წანახედით მიყენებული ზარალის გამი აღძრულ დავათა განხილ-

ვის შესახებ” (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მგ 14 №-ი, გ . 206) შეტანილ  
იქნეს ზემდეგი კლირინგანი:

- ა) 1-ლ მუხლში სიტყვები „და საოღქო (სამაზრო)“ და მე-6 მუხლში სიტყვები „საოღქო (სამაზრო) და“ ამონშალოს;

ბ) მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი, მე-3 მუხლის პირველი ნაწილი და მე-9, 10, 11, 12, 13, 14 და 15 მუხლები გაუქმებულ იქნეს;

გ) მე-3 მუხლის „შენიშვნაში სიტყვები „ოლქისა (მაზრისა)“ შეიცვალოს სიტყვად „რაიონისა“, ხოლო მე-6 მუხლის შენიშვნაში სიტყვები „საოლქო (სა-მაზრო)“ შეიცვალოს სიტყვად „სარაიონო“;

- დ) მე-8 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„8. უკეთე მორიგება არ მოხდა სარჩელი წანახედით მიყენებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე დაზარალებულმა უნდა წარიღვინოს ქვემდებარების მიხედვით სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოში ან სახელში სასამართლოში.

**შენიშვნა.** წანახედით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახები სარჩელი სახალხო სასამართლოში წარედგინება წანახედის ადგილის მიხედვით; ამ სარჩელს განიხილიერს სახალხო მოსამართლე ერთპიროვნად.

2. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. პრილის 6-ის დადგნილებაში „სასოფლო საბორების პრეზიდიუმების მიერ სატყეო წესების დარღვევისა და განჩხახი წანახედის საქმეთა განხილვის წესის შესახებ“ (ხატ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-10 №-ი, მეხ. 114) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი:

- ა) სათაურში ამოიშალოს სიტყვები „და განზრახი წანახედის“;

8) 1-ლ მუხლში ამონშალოს სიტყვები „და სოფლად განზრახი წანახედის თაობაზე აღძრულ საქმეებს, უკეთუ მიუყენებული ზიანი ჩატომეტ მანეთს არ აღმარტიბა (სისხლის სამართლის კოდექსის 195 მუხ.).“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური  
ომშესრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თანამდებობაზე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მთილენი ს. თოლია.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების შესახებ.

1. სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მოწყობა სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო—სასამართლოს—თავმჯდომარისა, ორი მისი მოადგილისა და სახალხო მსაჯულების (საზოგადოებრივი მოსამართლეების) შედგენილობით.

სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს აირჩევს სასოფლო საბჭო ამ საბჭოს წევრთა რიცხვიდან და დაამტკიცებს სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს სახალხო მსაჯულები (საზოგადოებრივი მოსამართლეები) აირჩევიან თვითეული სოფლის საერთო კრებაზე ორივე სექსის მოქალაქეთაგან, რომელთაც, საქართველოს სსრ ძირითადი კანონისა (კონსტიტუციის) და საბჭოთა საარჩევნო ინსტრუქციის თანახმად, აქვთ საარჩევნო უფლება,—რიცხვით ერთი მსაჯული უწყებული დასახლებული პუნქტის თვითეულ 50 მცხოვრებზე, ხოლო არა ნაკლებ 25 კაცისა.

სახალხო მსაჯულითა (საზოგადოებრივ მოსამართლეთა) სიას დაამტკიცებს სათანადო სასოფლო საბჭო.

სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილენი და სახალხო მსაჯულნი (საზოგადოებრივი მოსამართლენი) აირჩევიან სასოფლო საბჭოს რწმუნებამოსილობის ვადით. მათი ვადამდე უკან გაწვევა მოხდება იმ წესით და იმ საფუძვლით, რაც დადგენილია აღვილობრივი საბჭოების წევრთა უკან გაწვევისათვის.

სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილენი და სახალხო მსაჯულნი (საზოგადოებრივი მოსამართლენი) თავის მუშაობას შეასრულებენ უსასყიდლოდ საზოგადოებრივი მოვალეობის წესით. სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოს ტეხნიკურ მომსახურეობას გაუწევს სასოფლო საბჭოს აპარატი.

**შენიშვნა.** კანდიდატებს, სახალხო მსაჯულების (საზოგადოებრივი მოსამართლეების) ასარჩევად დაასახელებენ სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მუშაოთა პროცესიონალური კავშირის აღილობრივი ორგანიზაციები, ლარიბთა და მოჯამაგირეთა ჯგუფები, მუშა და გლეხ-ქალთა სადელებატო კრებები, გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტები და სხვა აღილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. კანდიდატების დაასახელება შეუძლიანთ ავრეთვე მოქალაქეთა ცალკეულ ჯგუფებს და ცალკეულ მოქალაქეებს, რომელთაც აქვთ საარჩევნო უფლება.

2. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო განიხილავს შემდეგ საქმეებს:

ა. ნისხლის სამართლის საქმეები: ა) ექიმბაშობის, ე. ი. იმ პირის მიერ მკურნალობის წარმოების შესახებ, ვისაც სათანადო სამედიცინო განათლება არა აქვს (სისხ. სამ. კოდ. 199 მუხ.); ბ) ხალხის ჯანმრთელობის დასაცავად კანონით და სავალდებულო დაღვენილებებით განსაზღვრული წესების დარღვევის

შესახებ, უკეთუ დამრღვევი ადმინისტრატიული წესით არ იდევნება და უკეთუ დარღვევა გათვალისწინებული არ არის სისხლის საზართლის კოდექსის სპეციალური მუხლებით; აგრეთვე ხელისუფლებისათვის ხალხის გადამდები ავადმყოფობისა და საქონლის გადამდები სენის ან გაშედომის შემთხვევის განუცხადებლობის შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 200 მუხლის 1 და 3 ნაწ.); გ) უბრალო ხულიგნობის, ე. ი. თავშეუვეტილი მოქმედების შესახებ, რასაც თან სდევდა საზოგადოებისადმი უპატივუმლობა, უკეთუ ეს მოქმედება პირებული ჩადენილი და მას თან არ ერთოდა შლევობა, უხამსობა და განსაკუთრებული ახირება, ან და იგი განსაკუთრებულად ცინიკური და თავხედური არ იყო (სისხ. სამ. კოდ. 74 მუხლის 1 ნაწ.); დ) ცილისწამების, ე. ი. სხვა პირის მიმართ წინასწარი შეცნობით ტუშილი და გამაშტალებელი შოგონილი რამის გავრცელების შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 176 მუხლის 1 ნაწ.); ე) სიტყვეირად, წერილობით ან მოქმედებით ვისიმე შეურაცხოფის შესახებ (სისხ. სამ. კოდ. 174 მუხ.); ვ) გარტყმისა ან ცემის შესახებ ან სხვა ძალადობის შესახებ სხეულის დაუზიანებლად (სისხ. სამ. კოდ. 158 მუხ. 1 ნაწ.); ზ) ნათესისა, ბარისა, ვენახისა, ბოსტნისა და სხვ. საქონლის მიშვებით განზრაა წახულის შესახებ, უკეთუ მიყენებული ზიანი ორმოცდათ მანეთს არ აღმატება (სისხ. სამ. კოდ. 195 მუხ.).

**ბ. სამოქალაქო საქმეები:** ა) სარჩელს თანხით ორმოცდათ მანეთამდე, რაც ქონებრივი უფლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს; ბ) სარჩელს ბაეშვისა და შრომისუნარმოკლებული და უმუშევარი მეუღლის შენახვის შესახებ და აღმინენტის სხვა საქმეებს, გარდა ისეთი საქმეებისა, რაც დაკავშირებულია მამობის დამტკიცებასთან.

**გ. შრომის საქმეები:** დავას სამუშაო ხელფასისა და ზედმეტი მუშაობის სასკიდლის შესახებ, აგრეთვე სპეციალისამოსის შესახებ, როლესაც სასარჩელო თანხა 25 მანეთს არ აღმატება.

**დ. საადგილმამულო საქმეები:** დავას მიწის შრომითი სარგებლობის უფლების შესახებ, სადაც მხარეებად არიან ცალკეული კომლნი ან ცალკეული მოქალაქენი, სარჩელის თანხის მიუხედავად, აგრეთვე დავას კომლის გაყრის შესახებ.

**შენიშვნა.** სამოქალაქო, საშრომო და საადგილ-მამულო საქმეები, რომელშიაც თუნდაც ერთი მხარე არის სახელმწიფო დაწესებლება, კონკრეტული და საზოგადოებრივი ორგანიზაცია და კერძო იურიდიული პირი (სააქციო საზოგადოება, ამხანაგობა და სხვ.), სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლო არ განიხილება.

**3. ამა დებულების მეორე მუხლში გათვალისწინებული საქმეები აუცილებლად განიხილება სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოში, უკეთუ არის შემდეგი პირობები:**

ა) „ა“ ლიტერას „ა“, „ბ“, „გ“ პუნქტებში ჩამოთვლილი საქმეები—უკეთუ ამ პუნქტებით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა ჩადენილია სათანადო სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე იმ პირის მიერ, ვინც ამავე ტერიტორიაზე მუდმივად სცხოვრიბს;

ბ) იმავე ლიტერას დანარჩენ პუნქტებში ჩამოთვლილი საქმეები—უკეთუ ბრალდებული, და დაზარალებული მუდმივად ერთი სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ცხოვრიბებ;

გ) „ბ“, „გ“ და „დ“ ლიტერებში ჩამოთვლილი საქმეები—უკეთუ მოსარჩევა და მოპასუხე მუდმივად ერთი სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ცხრვილი, ხოლო საადგილ მამულო საქმეების მიმართ—უკეთუ, ამის გარდა, სადაც მიწის ნაკვეთი იმავე ტერიტორიაზეა.

ზემოაღნიშვნულ საქმეებს, გარდა ამა მუხლის „ა“ პუნქტში გათვალისწინებული საქმეებისა, იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეში მხარეებად მყოფი მოქალაქენი სხვადასხვა სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე ცხოვრიდენ, სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო განიხილავს მხოლოდ იმ პირობით, უკეთუ განმცხადებელი მიმართის ამ სასამართლოს დანაშაულის ჩადენის ადგილას (სისხლის სამართლის საქმეების გამო), მოპასუხის საცხოვრებელ ადგილას (სამოქალაქო და საშრომო საქმეების გამო) და სადათ მიწის ნაკვეთის მდებარეობის ადგილას (საადგილ-მმულო საქმეების გამო).

4. უკეთე სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო სცნობს, რომ მიღებული საქმე მას არ ექვემდებარება ან თუმცა ექვემდებარება, მაგრამ თავისი ხასიათით რთულია ან მოითხოვს კანონის დამრღვევისათვის ზეგავლენის უფრო მჟავრი ღონისძიების შეფარდებას, ვიდრე ეს ამა დებულების მე-14 მუხლით არის გათვალისწინებული, მას უფლება აქვს გადასცეს ეს საქმე სათანადო სახალხო სასამართლოს განსახილეველად საერთო ქვემდებარეობის წესისამებრ.

სახალხო მოსამართლეს, თავისი ინიციატივით ან პროექტურის განცხადებით უფლება აქვს ყოველგვარი საქმე ზემოაღნიშნული მოტივებით გადაიტანოს სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოდან საერთო ქვემდებარებისამებრ განსახილებით.

5. სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოში საქმე აღიძერის როგორც  
მხარეების, ისე მესამე დაინტერესებული პირების სიტყვიერი ან წერილობითი  
განცხადებით და აგრძელებით პროფესიონალური და საზოგადოებრივი ორგანიზა-  
ციების ასეთივე განცხადებით.

ამა დებულების მე-2 მუხლის „ა“ ლიტერის „ა“, „ბ“, „გ“ და „ზ“ პუნქტებში ჩამოთვლილი სისხლის სამართლის საქმეები სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს მიერ განიხილება აგრეთვე სასოფლო საგვარეულოს, პროკურატურისა და მილიციის განკარგებით.

6. საქმის განხილვა სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოში არ არის შეზღუდული სამართლის წარმოების არაეითარი ფორმალური წესებით, გარდა იმ წესებისა, რაც დადგენილია ამა დოკუმენტით.

**შენიშვნა.** სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოში საჭმის წარ-

მოებისათვის არავითარი ბავი და გამოსალები გადახდევინებულ არ უნდა  
იქნეს.

7. სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოში საქმე განიხილება კარია სხდომაში; სასამართლოს შედგენილობაში შედიან: სხდომის თავმჯდომარე— სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს თავმჯდომარე, ან ერთ-ერთი მისი

მოადგილე და ორი სახალხო მსაჯული (საზოგადოებრივი მოსამართლე) მელნიკი ამ მოვალეობის შესასრულებლად მიწვევულ იქნებიან რიგის მიხედვით, იმ პირთა რიცხვიდან, რომელნიც შეტანილ არიან სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს სახალო მსაჯულთა (საზოგადოებრივ მოსამართლეთა) სიაში.

**შენიშვნა.** შრომის საქმის განხილვის დროს სასამართლოს შედგენილობაში ერთ-ერთ სახალხო მსაჯულად (საზოგადოებრივ მოსამართლედ) შედის სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მუშათა პროფესიონალური კავშირის აღგილობრივი ორგანიზაციის წარმომადგენელი.

8. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს სხდომის თავმჯდომარე და სახალხო მსაჯული (საზოგადოებრივი მოსამართლე) ჩამომატებულ უნდა იქნენ საქმის განხილვაში მონაწილეობისაგან როგორც მხარეების, ისე საკუთარი განცხადებით, შემდეგ შემთხვევაში:

ა) უკეთუ საქმით დაინტერესებული არიან თითონ ისინი ან მათი უახლოესი ნათესავები;

ბ) უკეთუ ისინი მონაწილეობას იღებდენ ან იღებენ საქმეში მოწმეებად ან მხარეების ინტერესების წარმომადგენლებად;

გ) უკეთუ ისინი მტრულად არიან განწყობილი იმ პირთან, რომელიც საქმეში მონაწილეობას იღებს, როგორც დაინტერესებული მხარე.

უკეთუ თავმჯდომარე ჩამომორჩებულ იქნა, მას სათანადო საქმის განხილვის დროს შეცვლის სხევ პირი, რომელსაც უყოლება იქნა სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოში თავმჯდომარეობა გასწიოს (თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილი), ხოლო უკეთუ სახალხო მსაჯული (საზოგადოებრივი მოსამართლე) იქნა ჩამომორჩებული, მას შეცვლის სხევ სახალხო მსაჯული (საზოგადოებრივი მოსამართლე) რიგის მიხედვით.

9. საქმე სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოში განხილულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 10 დღისა მისი მიღების დღიტან, ხოლო საქმე შრომისა და ხულივნობის შესახებ—არა უგვიანეს 5 დღისა მისი მიღების დღიტან.

10. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო ვალდებულია საქმის განხილვისათვის დაიბაროს მომჩინენი, მოპასუხე და ბრალდებული, მოისმინოს მათი ასენა-განვარტება, დაკვითხოს, უკეთუ საჭირო იქნება, შორმები, მოახტინოს ადგილობრივი გასინჯვა და საერთოდ იხმაროს ყოველგვარი ლონისძიება საქმის გარემოებათა უფრო სრული და ყოველმხრივი გამორკვევისათვის.

**შენიშვნა.** სამოქალაქო, საადგილ-მამულო და საშრომო საქმეში მოწილე მხარეებს, მათი საქმეების განხილვის დროს, შეუძლიანთ თავის მაგივრად გაგზავნონ სასამართლოში თავიანთი წარმომადგენელი ნათესავებისა, შინაურებისა და თანასოფლელებისაგან, უკეთუ ეს უკანასენელი არ ეშვერი ვექილობას სსიყიდლით სხევისი საქმეების გამო. ხოლო სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოს უფლება იქნა ვალდებულქონის მხარე, რომ იგი საქმის განხილვას პირადათ დაესწროს.

11. უკეთუ საქმეში მონაწილე პირი, სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს დაბარებისამებრ არ გამოცხადონენ, საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მათ დაუსწრებლად ან გადაიდოს, ან და მოისპოს.

12. სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოში საქმეები, გარდა ამა დებულების მე-2 მუხლის „ა“ ლიტერის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში ჩამოთვლილი საქმეებისა, შეიძლება დამთავრდეს მხარეთა მორიგებით. ხოლო, ყველა შემთხვევაში, როდესაც სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო საქმის გარემოებათა მიხედვით სცნობს, რომ მორიგება არსებითად არღვევს საქმეში მონაწილე შრომების ინტერესებს, იგი გამოიტანს გადაწყვეტილებას არსებითად.

13. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს დადგენილება მიღება ხვის უმეტესობით, შესღება მოჟლედ წერილობით და გამოცხადება საჯაროდ საქმეში მონაწილე პირთ.

14. სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოს სისხლის სამართლის საქმე-ების გამო შეუძლიან შეუფარდოს დამნაშავეს ზევალენის ერთ-ერთი შემდგენი ლონისძიება: ა) გაფრთხილება; ბ) საზოგადოებრივი გაკიცხვა ბეჭდვითი სიტყვის ორგანოში გამოქვეყნებით ან უმისოდ, ანდა სოფლის ყრილობაზე გამოცხადებრთ; გ) ფულადი ჯარიმა არა უმეტეს 10 მანეთისა, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩაირიცხება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლიდ ადგილობრივი მნიშვნელობის საერთო კულტურული ლონისძიებათა განხორციელებისათვის ან ცალკეული ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების სპეციალისტებისათვის; დ) განსახლებრული საზოგადოებრივი სამუშაოს იძულებითი შესრულება ვაღით არა უმეტეს 5 დღისა.

**შენიშვნა.** ზეგავლენის ლონისძიების დანიშნვასთან ერთად სასოფლო საზოგადოებრივ სასამართლოს შეუძლიან ვალდებულებულს დამნაშავე — ანაზღაუროს მიეყნებული ქონებრივი ზიანი თანხით არა უმეტეს 50 მანეთისა.

15. ქონებრივ დავათა საქმის გამო სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო უკეთ გამოირკევა, რომ გადაწყვეტილი თანხის ერთდროულად გადახდა შეუძლებელია, გადადებს გადახდის ვადას ან გაანაწილებს ამ ვადას, ხოლო არა უხანგრძლივეს, ვიდრე 3 თვე.

16. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს დადგენილება საბოლოოა, არ განისახივრება და დაუკავშირდება უნდა იქნეს აღსრულებული.

ეს დადგრინდება შეიძლება გაუქმებულ იქნეს სათანადო რაიონის სახალხო სასამართლოს მიერ მხოლოდ შედამნედველობის წესით, საკუთარი ინიციატივით ან პროკურატურის პროტესტის მიხედვით.

17. უკეთ სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს დადგენილება ნებაყოფლობით არ იქნა შესრულებული, იგი აღსრულებულ უნდა იქნეს სასამართლოს თავმჯდომარის სათანადო წარწერით იძულებით წესისამებრ სოფლის აღმასრულებლის მეშვეობით.

**შენიშვნა.** სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოს მიერ დანიშნული იძულებითი მუშაობის შესრულება ხასამართლოს თავმჯდომარის განკარგულებით შეიძლება გადადებულ იქნეს; ა) უკეთ მსჯავრდადებული ავად არის — განკურნებამდე; ბ) სამინდვრე მუშაობის დროს — ამ მუშაობის დამთავრებამდე.

18. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლოების მოქმედებისათვის ხელმძღვანელობის გაწევა დაეკავშირდათ სახალხო მოსამართლეებს. ამ სასამართლოების მოქმედებას მეოთხლურეობას გაუშევენ სახალხო მოსამართლეები და პროკურატურა.

სახალხო სასამართლოებისა და პროკურატურის მიერ სახალხო საზოგადოებრივი სასამართლოების მოქმედებისათვის ხელმძღვანელობისა და ზეამნედველობის გაწევის წესი განისაზღვრება სექართველოს სსრ უსენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და რესპუბლიკის პროკურორის ინსტრუქციით, რასაც ისინი გამოსცემენ ურთიერთი შეოთანხმებით.

19. სასოფლო საზოგადოებრივი სასამართლო თავისი მოქმედების ანგარიშს პერიოდულად წარუდგენს ხოლმე სასოფლო საბჭოს.

გამოქვეყნებულია გან. „კომუნისტის“ 291, 292, 293 და 294 №-ზე 1930 წ. დეკემბრის 12, 13, 14 და 16.